

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო
კომისიის სხდომის**

ოქმი #1

ქ. თბილისი

07 მარტი 2019 წელი

2019 წლის 07 მარტს შედგა მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

უკლება მაია - გთუნი-ს პრორექტორი, პროფესორი

კომისიის წევრები:

1. ალადაშვილი გელა - გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
2. ჩაგელიშვილი ლალი - გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხუსი-ს უფროსი, პროფესორი
3. ჟვანია თალიკო - გთუნი-ს ინფორმატიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

კომისიის წევრი - **ლევან დოღონაძე**, მიმდინარე წლის 01 მარტიდან გათავისუფლდა გთუნი-ს იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან (ბრძ. 01-02/10) და მ/წლის 05 მარტიდან კერძო სამართლის კათედრის პროფესორის აკადემიური თანამდებობიდან (ბრძ. 01-02/14). შესაბამისად იგი არ ესწრებოდა აღნიშნულ სხდომას.

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

1. ინფორმატიკის კათედრაზე მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2019 წლის 05 თებერვლის გამოცემული ბრძანების (#01-01/08) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2019 წლის 20 თებერვლიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2019 წლის 07 მარტი , სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2019 წლის 14 მარტს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე)

კონკურსის საფუძველზე ინფორმატიკის კათედრაზე (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა) ასარჩევი მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 1 კაცით,

კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 1 კანდიდატმა.

კანდიდატის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატის საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. მოწვეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის კათედრაზე (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა) 2018-2019 სასწ/ წელს შემდეგი კონკურსანტი:

✓ **ხათუნა ბუჩუკური**

2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
3. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (11, 12, 13 მარტი)
4. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 14 მარტს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. მაია უკლება

კომისიის წევრები:

პროფ. გელა ალადაშვილი

პროფ. ლალი ჩაგელიშვილი

პროფ. თალიკო ჟვანია

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი